

სააპელაციო საბჭოს სხდომის
ოქმი № 14

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 18/11/2019 წ

სხდომის დაწყების დრო 16:13 სთ

სხდომის დამთავრების დრო 18:59 სთ


საბჭოს თავმჯდომარე - ნოდარ პაპუკაშვილი

საბჭოს მდივანი - დევი ხვედელიანი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. ნოდარ პაპუკაშვილი - "შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი - საბჭოს მდივანი;
4. გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი. აკადემიური საბჭოს მდივანი;
5. სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
6. გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
7. ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ეკა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;
9. თინათინ გაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - თავმჯდომარე

მდივანი



საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

10. თამარ ბალდავაძე - შპს "ლენდ მარკ პროჯექტის" არქიტექტორი; ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერის ფაკულტეტის დეკანი	I
2.	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერის ფაკულტეტის ზარსახის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3.	მაია გამეზარდაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე	II

თავმჯდომარე

მდიგანი

4.	თამარ ებრალიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი	II
5.	დალი ცქიტიშვილი		იურიდიული სამსახურის უფროსი;	II
6.	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
7.	გიგა ზედანია		რექტორი	II
8.	ელენე ჭურავლიოვა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
9.	ქეთევან ბოიკო		საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე;	II
10.	ივანე აბიათარი		„მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთაფახურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	II
11.	იაგორ კალანდაძე		პროფესორი	II
12.	აჩზორ ჭავჭავაძე		სტუდენტი	II

მოწვეული პირები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაციის დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გაიანე სიმონია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი	II

თავმჯდომარე

მდივანი

2	ხათუნა თოდაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი	II
---	---------------	---	--	----

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 28^ე-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 28^ე-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ "სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ "სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

თავმჯდომარე

მდივანი

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ "სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
2.	უმაღლესი განათლების საფეხური ¹	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დონე ²	მერვე
4.	სწავლების ენა	ქართული
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 25 თებერვალი
7.	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 25 თებერვალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ ვი

ზურაბ გასიტაშვილი, გიორგი სალუქვაძე და თინათინ კაიშაური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივრს, ასევე, სააკრედიტაციო დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესახებ აკრედიტაციის მაძიებლის მოსაზრებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ განაახლა საბჭოს 2019 წლის 15 ივლისს ჩატარებულ სხდომაზე განხილული საკითხის, კერძოდ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის

¹ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
თავმჯდომარე

მდივანი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'David Chikhlidze'.

განხილვა. მან აღნიშნა, რომ სხდომაზე საბჭოს წევრებმა მოუსმინეს აპელანტის მხარეს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომდგენელი არ ესწრებოდა სდხომას, ისევე, როგორც დღეს. გადაწყვეტილების მიღება ზოგადად ხდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა დღესაც არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი. მან კიდევ ერთხელ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია, რითაც სურს გააბათილოს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება.

აპელანტი დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ქვარცხავამ შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ წარმოდგენლი იყო „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი განმანრტებით ვიზიტის შემდეგ ექსპერტების მიერ გაიცა 9 რეკომენდაცია, რომლებიც არ იყო საფფუძლები იმისა, რომ პროგრამას მიეღო პირობითი აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამა 4 სტანდარტში შეფასდა, როგორც „სრული შესაბამისობა“, ხოლო ერთში (მე-2სტანდარტი) - „მეტწილად შესაბამისობა“. გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ გაცემული 9 რეკომენდაციიდან დაწესებულება 7 - ს დაეთანხმა, ხოლო 2 რეკომენდაცია გაიცა ექსპერტის მხრიდან გარკვეული უზუსტობიდან გამომდინარე, შეფასების კრიტერიუმთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, სააკრედიტაციო საბჭომდე შესწორდა ის ხარვეზებიც, რაც საუნივერსიტეტო დებულებიდან გამომდინარე იყო გაცემული. გარდა ამისა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოში მხოლოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან არიან წარმოდგენილი ამ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული კვალიფიციური სპეციალისტები და ისინი ვერ ჩაერეოდნენ გადაწყვეტილების მიღებაში, აქედან გამომდინარე საბჭომ მიოწვია ექსპერტი, სპეციალისტი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, როზა ლორთქიფანიძე. განხილვის პროცესში არც ექსპერტების მხრიდან, არც მოწვეული ექსპერტის და არც საბჭოს წევრების მხრიდან არ დასმულა დამატებითი კითხვები, გარდა მხოლოდ 2 პროცედურული კითხვისა. დამოუკიდებელმა ექსპერტმა საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა დადებითად, და აღნიშნა პროგრამის არსებობის საჭიროება, რადგან საქართველოში მხოლოდ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავჯდომარე, ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა ჰყავდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამას დოქტორანტები, რაზეც გიორგი ქვარცხავამ უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტში ხორციელდება 2014 წლიდან თუმცა დისერტაციის დაცვა 5 წლის განმავლობაში ჯერ არ მომხდარა. 2014 წლიდან საბაკალავრო პროგრამას 2 კურსდამთავრებული ჰყავდა, ასევე, წინა სასწავლო წლებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტი აცხადებდა 3-4 ადგილს, ამჟამად აცხადებენ 20-25 ადგილს, რადგან უკვე მათი კურსდამთავრებულები აგრძელებენ წწავლას. სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე მთლიანი მასშტაბით 40 სტუდენტი მიიღება, საიდანაც 30 სტუდენტი სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ირიცხება. დღეს მათ სხვადასხვა კურსზე ჰყავთ 5 დოკტორანტი. ამჟამად საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი,. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს განხილვის პროცესს, მისი თქმით, ოქმში არცერთი

თავმჯდომარე

მდივანი

არგუმენტირებული მოსაზრება, თუ რა აქვს საგანმანათლებლო პროგრამას გამოსასწორებელი არ იყითხება. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია 2 წლის, პირობითი აკრედიტაციის გავლის შემდეგ რისი შესწორება უნდა მოხდეს მათ მიერ.

საბჭოს თავჯდომარე, ნოდარ პაპუკაშვილიც დაეთანხმა იმ მოსზრებას, რომ ოქმში არცერთი არგუმენტირებული პოზიცია არ იყითხება, ამჟამინდელ საბჭოზეც არ ესწრება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი, არ არის სახეზე შეჯიბრებითობის პრინციპი და რაიმე კონტრარგუმენტი გადაწყვეტილების მომღები ორგანოს მხრიდან.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მჭედლიშვილმა დაამატა, რომ მათ ივლისსში განიხილეს საკითხი და თითქმის მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, თუმცა აინტერესებდათ არგუმეტი, რატომ დაიწია მეორე სტანდარტი, თუმცა ამჟამადაც არ არის წარმოდგენილი მეორე მხარე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა მიმართა დამსწრე საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კიდევ რაიმე შეკითხვა, ან დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ არაფრის დამატება სურდათ.

სათათბირო შესვენება

შესვენების დაწყების დრო 16:45 სთ
დამთავრების დრო 16:50 სთ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუცლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

თავმჯდომარე

მდივანი

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

№		ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2.	უმაღლესი განათლების საფეხური ³	ერთსაფეხურიანი
3.	კვალიფიკაციის დონე ⁴	მეშვიდე
4.	სწავლუბის ენა	ინგლისური
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 04 ივლისი
7.	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 04 ივლისი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

სოფიკო ლობჟანიძე, ეკა ლეფსვერიძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგნეს შრომითი ურთიერთობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს, ასევე, სააკრედიტაციო დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესახებ აკრედიტაციის მაძიებლის მოსაზრებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

³ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁴ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
თავმჯდომარე

მდივანი

აპელანტი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ზედანიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ისინი „მედიცინის“ (ინგლისურენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საკითხს ზერელად არ მოეკიდნენ, მათ მრავალი წელი ჰქონდათ კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მაღალი კვალიფიციური ხარისხის კვლევებს აწარმოებდა, ასევე, სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამას ინსტიტუცია ამზადებდა რამდენიმე წლის განმავლობაში, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია მოწვეული იქნა საერთაშორისო პერსონალი და თანახელმძღვანელი ესორი ოლვინ ვესტვუდი ლონდონის უნივერსიტეტიდან, რომელიც თავის სამედიცინო სფეროს ექსპერტია და კარგად იცნობს საქართველოს სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემასაც, რადგან იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი საქართველოში. შესაბამისად, ამდენი მომზადების შემდეგ, როდესაც მათ საკურედიტაციოდ წარადგინეს საგანმანათლებლო პროგრამა მიიღეს 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია, მას გაუკვირდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ფიქრობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამას მეტი პოტენციალი აქვს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ივანე აბიათარმა აღნიშნა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მათ ბევრი იმუშავეს, 2-ჯელ გაიარეს აკრედიტაციის პროცესი ერთხელ შეაჩერეს, გადახედვის მიზეზით, მოიწვიეს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, უცხოელი თანახელმძღვანელი, რათა გაეთვალისწინებინათ მათი აზრი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის ექსპერტებისა და საერთაშორისო ექსპერტის მიერ შეფასდა დადებითად, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან გამოკვეთილი იქნა ორი რეკომენდაცია, დანარჩენ რეკომენდაციებზე მსჯელობა არ ყოფილა, მაგალითად, მეოთხე სტანდართან დაკავშირებით, რომელთანაც მათ ჰქონდათ განსხვავებული პოზიცია. ასევე, განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე დაისვა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შეუსაბამობის საკითხი, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება და განმარტა, რომ უნივერსიტეტის პერსონალმა გაწია დიდი სამუშაო და პროგრამა ფარავს დარგობრივ მახასიათებლებს, შესაძლებელია, არსებობდეს კითხვები სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით, თუმცა აქვთ არგუმენტები თუ რატომ მოხდა მისი ამგვარი ფორმულირება, რომლის პრეცენდენტიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. აკრედიტაციის საბჭოზე განხილული იყო შეფასების მეთოდები კლინიკური სამუშაოს შესრულების დროს, რომელიც გამოიყენეს ადრეულ სიმულაციურ სცენარებში, მისი მოდიფიცირება მოახდინეს გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ფიქრობენ, რომ ეს ფორმა იმ საფეხურის სტუდენტებისთვის არის რელევანტური და პრობლემა შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ სახელწოდების მხრივ. რაც შეეხება პი ბი ელ (PBL)⁵ მეთოდს, მისი განმარტებით, მათ დიდი რესურსი დახარჯეს ამ მეთოდის დანერგვისათვის, გადაამზადეს პერსონალი. მან აღნიშნა, რომ კონტექსტი იქნა გაგებული ფი ბი ელის მეთოდთან დაკავშირებით არასწორად, მათ არ

⁵ PBL -Problem-based learning

თავმჯდომარე

მდივანი

უგულისხმიათ, რომ ის ანვითარებს კლინიკურ უნარებს, მისი განმარტებით, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და სინამდვილეში ის ანვითარებს პრობლემის გადაჭრის უნარებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ჟურავლოვამ განაგრძო საუბარი აკრედიტაციის საბჭოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, მისი თქმით, სხდომა მიმდინარეობდა მეგობრულ გარემოში, რჩევების ფორმატში. მათი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის პირველ სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებს, დაწესებულების მხრიდან წარდგენილი არგუმენტები არ იქნა გათვალისწინებული და არ მოხდა შეფასების ცვლილება. მირითადი რჩევები საბჭოს წევრებმა გასცეს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც ეხებოდა ტერმინების სხვადასხვა კუთხით გამოყენებას, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებს. მანაც აღნიშანა, რომ დანარჩენი სტანდარტები არ იყო განხილული. მისი თქმით, სასურველია, თუ საბჭოს წევრები გადახედავენ ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას, მათ გაგზავნილი ჰქონდათ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით არგუმენტირებული პასუხი და რადგან საბჭოზე არ მოხდა მისი განხილვა ჩათვალეს, რომ დასაბუთებულად მიიჩნიეს მათი პასუხი. შესაბამისად, ისინი არ ელოდებოდნენ ამ რჩევების საფუძველზე რომელიმე სტანდარტის დაწევას და პირობით აკრედიტაციას, მათთვის არ იყო განმარტებული სტანდარტის დაწევის მიზეზიც. განხილვა იყო კოლეგიალური, გაიცა ბევრი რჩევა, ტერმინთა გამოყენების კუთხით, რომელთაგან ნაწილს დავეთანხმეთ და ნაწილს არა, თუმცა აკრედიტაციის საბჭოზე არ ითქვა, რომ ამ სტანდარტში საგანმანათლებლო პროგრამა ეკუთვნოდათ ნაწილობრივი შესაბამისობა. გამომდინარე აქედან, ეს გადაწყვეტილება იყო მოულოდნელი, ასევეუცნობი იყო კენჭისყრის შედეგებიც. შესაბამისად, ჩათვალეს, რომ ეს საკითხი საჭიროებს ხელახლა განხილვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ დამატენით განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებია აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზიარის ჩანაწერი: „ზოგი სწავლის შედეგი კარგად არის ჩამოყალიბებული, ზოგი ცუდად“, რომელიც ამოვარდნილია კონტექსტიდან. მისი თქმით, საუბარი იყო იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამის რუკა არის კომპლექსური, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედეგების შედეგებისთვის. მათი კომენტარი მიემართებოდა იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის რუკაში მითითებული სწავლის შედეგებისა და შესაბამისი კომპონენტების უფრო ფართო ასახვისთვის საჭიროა იყო ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება. მათი განმარტებით ზოგი კურსების შემთხვევაში კარგად შეძლეს ტაქსონომიის გამოყენება სწავლის შედეგების ნაწილში, ხოლო არსებობს კურსები, სადაც კიდევ მიმდინარებს ამ კუთხით მისი დამუშავება. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით სწავლის შედეგების გაწერა არ არის მარტივი და არ არის ერთჯერადი პროცესი. მან აღნიშნა, რომ ის მიდგომა რაც მათ გამოყენებული აქვთ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით არის კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი და გამოიყენება არა მხოლოდ მედიცინაში, მათ წარმოადგინეს რამდენიმე სტატია, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების დონეზე, ევროკავშირის, ამერიკის ასოციაციის დონეზე, ასევე, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე და ექსპერტების

თავმჯდომარე

მდივანი

რეკომენდაციები, თუ, როგორ უნდა ხდებოდეს შედეგზე ორიენტირებული კურიკულუმის აგება. ყველაზე მნიშვნელოვანი მიღებომა არის ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი უნდა იყოს კუმულირებული პრინციპით შედგენილი, ორგანიზებული და არა ფრაგმენტირებული. მედიცინაში კომპეტენციებს ეძახიან სწავლის დასრულებისათვის მისაღწევ სწავლის შედეგებს, (exit outcomes) რომლის უფრო წვრილ კომპეტენციებად დაშლა ხდება (კურსის შედეგები, მოდულის შედეგები და ა.შ.). რაც შეეხება ქართულ მოდელს, არსებულ დარგობრივ მახასიათებელში ჩამოთვლილი არ არის სწავლის შედეგები, იქ ჩამოთვლილია კომპეტენციები, რომელიც ინსტიტუციამ უნდა გამოიყენოს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას. გამომდინარე აქედან, მათ ჩამოყალიბებს ის სწავლის შედეგები, რაც ჩამოყალიბებს და შეფასდა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა (best practises). ექსპერტების დასკვნის მიხედვით, სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებლებთან. საგანმანათლებლო პროგრამის წვრილი სწავლის შედეგები გაიწერა კურსებში, უფრო მსხვილი კი საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში. მაგალითად, წამლის გამოწერა არის პაციენტის მენეჯმენტი (patient management) და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ივანე აბიათარმა დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება მიმდინარეობდა პარალელურად, რომლის თანამონაწილეც თავად იყო და ეს მახასიათებლები მათ მიერ არ იყო იგნორირებული, ყველაზე მეტი დრო სწორედ სწავლის შედეგების სინქრონიზაციას დაუთმეს დარგობრივ მახასიათებლებთან მიმართებით.

საბჭოს თავჯდომარე, ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა საერთაშორისო ექსპერტი, გარე შემფასებელი, ვინ იყო, რაზეც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ივანე აბიათარმა უპასუხა, რომ მათ შექმნეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართველი და უცხოელი ექსპერტებით. ამ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მათ მრჩეველთა საბჭოსთან ჰქონდათ კომუნიკაცია წელიწადში ერთხელ, განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ ანტვერპენის უნივერსიტეტის (university of antwerp) მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელთან, მედი ნელე მიხელსთნ, ჟენევის უნივერსიტეტის (university of geneva) ვიცე დეკანთან, ტიერი ბერნთან, ისინი ერთხელ ჩამოვიდნენ საქართველოში, ჰქონდათ სკაიპ კონფერენციები, მუშაობა მიმდინარეობდა კონკრეტულ კომპონენტებზე. მაგალითად, ისინი დაეხმარნენ მათ პორტფოლიოს ბელგიური მოდელის შემუშავებაში.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან რთულია ასეთი დონის ექსპერტების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ივანე აბიათარმა კურიკულუმების ინტეგრაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ არ უნდოდათ ფიქტიურად კურიკულუმის ინტეგრირება, ამიტომ გამოიყენეს სხვადასხვა ინტეგრაციის კომპონენტები. კურსები არის სრულიად სინქრონიზებული ერთმანეთთან, კვირების, დღეების დონეზე, რაც გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა დისციპლინებში ნასწავლი მასალა ერთმანეთთან არის ჰარმონიზაციაში. ასევე,

თავმჯდომარე

მდივანი

მათ აქვთ პი ბი ელ (PBL) სემინარები, რომლის ფარგლებში განხილულია და ინტეგრირებულია ის თეორიული მასალა, რისი შესწავლაც პარალელურად დისციპლინებში ხდება, სემინარის ბოლოს კი გამოცდა აგებულია ძირითადი ცოდნის შემოწმებაზე. პედაგოგების ჩართულობით ხდება ქეისების იმ პრინციპზე შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ცოდნაზე. (კურსის განმავლობაში და დასკვნითი გამოცდის დროს) ასევე, აქვთ ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნაწილში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე, რომელიც სინქრონიზებულია პარალელურად იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი გადიან ანუ ხდება სხვადასხვა დისციპლინების ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ფსიქიატრიის.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ივანე აბიათარის განმარტებით, მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა ვერტიკალური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ადრეულ ასაკში კლინიკური უნარების განვითარებას და ამავდროულად არ ხდება საბაზისო მეცნიერების სწავლის შეწყვეტა. კლინიკური უნარები არის სინქრონიზებული საბაზისო მეცნიერებებთან, რომლებსაც სტუდენტები გადიან სხვადასხვა ეტაპზე, ის თემები და უნარები, რომლებსაც ისინი განიხილავენ არის პირდაპირ კავშირში ერთმანეთთან. მისი განმარტებით, მე-5 სემესტრიდან მაქსიმალურად ინტერდისციპლინური სწავლება აქვთ, სადაც გამოცდაც არის ინტერდისციპლინური ფორმის. რაც შეეხება ვერტიკალურ ინტეგრაციას, ისინი ბოლო ეტაპზეც აგრძელებენ საბაზისო ცოდნის მიწოდებას სხვადასხვა ფორმით და არ ხდება კლინიკურ საფეხურზე გადასვლით საბაზისო მეცნიერებებისგან მოწყვეტა და ბოლო სემესტრში იღებენ მაღალი საფეხურის ცოდნას. პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მათ მე - 12 სემესტრი გამოყოფილი აქვთ კლინიკური პრაქტიკისთვის, სადაც სალექციო და სასემინარო ნაწილი აღარ არის, სტუდენტი გადის კლინიკურ პრაქტიკას და აქვს სხვა ტიპის შეფასება, რასთან დაკავშირებითაც გაიცა შენიშნვა, ხომ არ იყო ის მცირე. აპელანტმა აღნიშნა, რომ მე - 7 სემესტრიდან სტუდენტი იწყებს პორტფოლიოს წარმოებას და კლინიკური პრაქტიკის ნაწილი იზრდება ეტაპობრივად, მისი მოსაზრებით, საერთო ჯამში კლინიკური პრაქტიკის რაოდენობა საკმარისია, რადგან ბოლო სემესტრში პრაქტიკის ნაწილი ეხება შინაგან მედიცინას, საოჯახო მედიცინასა და ქირურგიას, სტუდენტი ირჩევს მე - 4 არჩევით დისციპლინასაც. რაც შეეხება უფრო ვიწრო პროფილის დისციპლინებს, ჩაშენებული აქვთ პრაქტიკის კომპონენტი სხვადასხვა სემესტრებში, შესაძლებელია მისი გაზრდაც, თუმცა რაც აქვთ ისიც მისაღებია. რაც შეეხება როლურ თამაშებს, რომლის გამოყენებაც საწყისს ეტაპზე არის უფრო სასარგებლო, მათ გამოყენებული აქვთ ბოლო ეტაპზე, ამის მიზეზი, აპელანტის თქმით, იყო ის, რომ შეფასების ფორმებში, ცოდნის პრაქტიკაში გამოყების ნაწილში მათ აქვთ ისეთი ტიპის გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად, ექიმის კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოსთან, ჟურნალისტებთან, ანუ ისეთი სცენარები, რომლის რეალურად განხორციელება რთულია, თუმცა საჭიროა გააჩნდეს სტუდენტს.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელ, მათი აზრით, თუ რატომ მიიღეს შენიშვნა ამ ნაწილში.

თავმჯდომარე

მდივანი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამის სავარაუდო მიზეზი იყო, ის რომ სტუდენტი როლურ თამაშს ადრეულ ეტაპზე ახორციელებს არაკლინიკურ, არამედ სიმულაციურ გარემოში, თუმცა მისი მოსაზრებით, ინფორმაციის ტრანსლაცია სტუდენტების მიერ რთული იქნება სხვადასხვა შემთხვევებში. ასევე განმარტა, რომ მათ სწავლის შედეგებში გაწერილი ჰქონდათ ეს ნაწილი. ელენა ულრავლოვამ დაამატა, რომ თუნდაც ინტეგრაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოზე დისკუსიის დროს არ დამდგარა საკითხი, რომ ტერმინთა გამოყენების გამო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის მეთოდები არ იმსახურებს სტანდარტთან შეუსაბამისობას.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა მიმართა საგანმანათლებლო პროგრამებია აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელს, გაიანე სიმონიას, რათა მას დაეფიქსირებინა საბჭოს პოზიცია.

გაიანე სიმონიამ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, იმის აღნიშვნისათვის, რომ მისი შენიშვნები იყო ნამდვილად გაცემული მეგობრულად და რომ არა აკრედიტაციის პროცესი, ეს შენიშვნები საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იქნებოდა აუცილებლად გათვალისწინებული. მან თქვა, რომ საბჭოზე არ იყო საუბარი მხოლოდ ტერმინების აღრევაზე და რა განმარტებებსაც ახლა აღნიშნავს, ის არ ეხება იმ გადაწყვეტილებას, რაც აკრედიტაციის საბჭომ გამოიტანა, რადგან ის იყო კოლექტიური გადაწყვეტილება. მან განმარტა, რომ მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი ნიშნავს, იმ მინიმალურ უნარებს, ცოდნასა და ქცევას, რომელიც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს, რომელიც შემდეგ მიდის რეზიდენტურაში და ხშირად ხვდება პაციენტს, რომლის ბედიც დამოკიდებულია ამ სტუდენტზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ 2009 წლიდან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უცხოელი ექსპერტები ეხმარებოდნენ ჩამოყალიბებინათ კომპეტენციები. პირველად საქართველოში, მედინის ექსპერტების დახმარებით 2010 წელს დამტკიცდა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები. გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ მედინი შეიქმნა ევროკავშირის მიერ, რათა უზრუნველეყო ევროკავშირში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოება. შესაბამისად, შექმნეს ის კომპეტენციები, რომელსაც უნდა პასუხობდეს კურსდამთავრებული ევროკავშირის ქვეყნებში. 2009 – 2014 წლებში საქართველო იყო აღნიშნული ორიგანიზაციის ასოცირებული წევრი, რომელმაც პირველად დანერგა დარგობრივი სტანდარტები მედინის საფუძველზე. მედინის ხელმძღვანელმა და ევროკომისარმა ამის შესახებ მიწერა წერილი იმ დროინდელ განათლების მინისტრს, რომ მას ძალიან მოეწონა, ის ფაქტი, რომ საქართველო ერთ -ერთი პირველი ცდილობდა დარგობრივ სტანდარტებს მოარგოს მისი სამედიცინო განათლება. შემდეგ, ჩამოყალიბდა მეორე მედინის ჯგუფი, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა 13 კომპეტენცია და რომელიც ეყრდნობოდა მეცნიერულ კვლევებს, მისი თქმით, სკუპულოზური შრომაა გაწეული თითოეულ კომპეტენციაზე, რასაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. მათ განაახლეს 13 -ვე შედეგი 2018 წელს და დამტკიცდა ახალი დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დაეყრდნო მედინს და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ექსპერტის, პროფესორი ნავარის კონსულტაციას, შეიქმნა დარგობრივი საბჭო მინისტრის ბრძანებით, WFME-ს ექსპერტმა კიდევ

თავმჯდომარე

მდივანი

ერთხელ გადახედა კომპეტენციებს, მისცა შენიშვნები, რომლის მიხედვითაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ადგილობრივი, ეროვნული სპეციფიკა. ასევე, გაიანე სიმონიას თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი ივანე აბიათარი იყო საბჭოს წევრი და ესწრებოდა იმ შეხვედრებს, ერთხმად არის მიღებული გადაწყვეტილება, რომ კურსდამთავრებული უნდა პასუხობდეს ამ 13 კომპეტენციას. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ განსხვავებით სხვა სკოლების წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებისგან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდათ წარმოდგენილი ის ტერმინოლოგია, რომელსაც თანამედროვე სამედიცინო განათლება მოითხოვს. შესაბამისად, მას ჰქონდა შენიშვნა არსზე და არა ტერმინოლოგიაზე, ის არ არის მიკერძოებული და არ აქვს არანაირი პირადი ინტერესი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, AMS-ის პრეზიდენტი ატარებს სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებულ ტრენინგებს, რაც თვითონ უსდ - ს წარმომადგენლებმაც იციან. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ისეთი ოდიოზური ფრაზები, რომელიც ბევრ სამედიცინო სკოლას აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში წარდგენილი, როგორიცაა კლინიკური თერაპია, კლინიკური ქირურგია არ იყო მოცემული ამ შემთხვევაში, პირიქით საგანმანათლებლო პროგრამა გაწერილი იყო თანამედროვე ტერმინოლოგით, რაც მათ დადებით მხარედ ითვლება. მან აღნიშნა, რომ მისთვის გასაკვირი იყო, ის ფაქტი, რომ უსდ - ში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც თავიდან დაიწყეს იმაზე ფიქრი რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს, მაშინ როდესაც 2009 – 2018 წლამდე მიდიოდა ამაზე მსჯელობა, მოხდა შეჯერება, რომ იქნება ამ 13 კომპეტენციის რუკა, ასევე, საუბარი იყო იმაზეც, რომ სასწავლო შედეგების (learning outcomes) მაგივრად უნდა ყოფილიყო კომპეტენციები და შემდეგ სასწავლო მოდულები. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობისას მან აღმოაჩინა, რომ წარმოდგენილი იყო 10 კომპეტენცია და გამორჩენილი იყო ორი ისეთი კურსდამთავრებულის კომპეტენცია, როგორიც არის გადაუდებელი დახმარება და მედიკამენტის გამოწერა, რომელიც ნაცულისხმები იყო, თუმცა, მან მოიყვანა მაგალითი, რომ როგორც იურისტმა უნდა მიუთითოს მუხლი და არა იგულისხმოს, ასევე, ამ შემთხვევაში უნდა გაიწეროს ეს კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოშე მიმდინარე მსჯელობის დროს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ის, რომ ზოგიერთი სილაბუსი ამ კომპეტენციას გულისხმობდა, საბოლოო რუკაში კი არის 10 კომპეტენცია მოცემული. მათ უნდა შეხედონ რომელი სასწავლო კურსი რამდენ კომპეტენციაზე გადის, რადგან თუ ის ერთზე ან ბევრზე გადის ნიშნავს იმას, რომ სასწავლო კურსი არ არის სწორად შედეგენილი. რა თქმა უნდა, ფარმაკოლოგიის სილაბუსში იქნება გაწერილი მედიკამენტის გამოწერა, თუმცა საბოლოოდ, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს ეს კომპეტენცია გამორჩენილია. მისი თქმით, საქართველოში ყველა სამედიცინო სკოლა შეთანხმდა, რომ ამოსავალი წერტილი არის ეს 13 კომპეტენცია, რომელიც გაწერილია დარგობრივ მახასიათებელში და რომლის საფუძლებზეც განათლების ხარსიხის განვიტარების ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა WFME-ს აღიარება. გაიანე სიმონიამ გამოთქვა სურვილი, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება გადასულიყო ამ 13 კომპეტენციაზე, რადგან ინტერპრეტაცია ერთია და რას ითხოვს საბოლოოდ დარგობრივი მახასიათებელი და კანონმდებლობა მეორე. მისი თქმით, როდესაც მან შეისწავლა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი

თავმჯდომარე

მდივანი

დოკუმენტაცია ნახა, რომ დარგობრივი მახასიათებლები სქოლიოში იყო მითითებული, სადაც ეწერა რომ ისინი ეყრდნობიან თუნინგ მედინისა და კანადის მედინის 2015 წლის კომპეტენციებს. გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ის ესაუბრა ამის შესახებ WFME-ს პრეზიდენტს, ასევე, ტრევორ გიფს, რომლებმაც უთხრეს, რომ თუ ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს 13 კომპეტენციას, ის არის ამოსავალი წერტილი. გამომდინარე აქედან, მისი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭომ მიიღო ლიბერალური გადაწყვეტილება, რადგან ექსპერტებმაც თქვეს, რომ ასეთ შემთხვევაში უმაღლესმა დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს კომპეტენციები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა სთხოვა დაეზუსტებინა რას ნიშნავდა შესაბამისობაში მოყვანა, რაზეც გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ უსდ - ს პასუხი იყო შემდეგი, მათ 10 კომპეტენცია იმიტომ აქვთ, რომ დანარჩენები იგულისხმება შიგნით, ზოგიერთი სილაბუსი ითვალისწინებს ამ გამოტოვებულ კომპეტენციებს, მაგალითად მედიკამენტის გამოწერა. რაც შეეხება მედინზე დაყრდნობას, იქაც 13 კომპეტენციაა მოცემული. გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ის სამუშაო ჯგუფის ერთ - ერთი წევრი იყო და მუშაობდა შედეგებზე. რაც შეეხება კურიკულუმის ინტეგრაციას, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ის უნდა იყოს ინტეგრირებული, უცხოელ ექსპერტებს სამუშაო ჯგუფმა აუქსნა, რომ საქართველოს სამედიცინო სკოლები ზოგადად ასწავლიან დისკიპლინაზე ბაზირებულ კურიკულუმს, რომელიც არის ძველი საბჭოური მოდელი. შესაბამისად, საწყისს ეტაპზე უცხოეთშიც სრული ინტეგრაციის გასასვლელად სკოლები მუშაობენ ათწლეულობით, რადგან მისი დაწერგვა არ არის მარტივი პროცესი. სწორედ, ამიტომ იყო შენიშვნა ინტეგრირებასთან დაკავშირებით და არა კონკრეტულად დონესთან მიმართებით, როდესაც აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ნახა სინქრონიზაციის რუკა მან უბრალოდ იკითხა თუ როგორი დონე იყო ის მათი მოსაზრებით, რაშიც არ იგულისხმებოდა რაიმე შენიშვნა. ტერმინებთან დაკავშირებით, პი ბი ელ (PBL) სესიებთან მიმართებით, მან განმარტა, რომ აღნიშნულ მოდელში ტუტორი მას არ ატარებს და ის არ აძლევს დავალებებს სტუდენტებს, არ შედის დისკუსიაში, პი ბი ელ - ს (PBL) ატარებენ თავად სტუდენტები. ასევე, მან აღნიშნა, რომ პი ბი ელი(PBL) არ აწვითარებს კლინიკურ უნარებს, რეალურად, სტუდენტები საბაზისო ეტაპზე, განიხილავენ პრობლემას, მაგ. ედინბურგში შერლოკ ჰოლმესიდან აძლევენ პი ბი ელ ებს, სტუდენტები ეძებენ ინტერნეტში ან ლიტერატურაში პრობლემას და ცდილობენ მის ამოხსნას, კლინიკური უნარების განვითარებას კი ადგილი არ აქვს. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს წევრმა მისცა უსდ - ს შენიშვნა. რაც შეეხება, ადრეულ კლინიკურ აქტივობას, ინტეგრაციის არსია ის ჩატანილი იყოს პირველ, მეორე კურსზე, ხოლო მეოთხე, მეხუთე მეექვსე კურსი უკვე აღარ არის ადრეული კლინიკური აქტივობა, რასაც ასევე შენიშვნის სახე ჰქონდა საბჭოზე. ასევე, დობსთან (DOPS) დაკავშირებით, რომელიც ჩატანილი იყო პირველი კურსის მეორე სემესტრში, მან განმარტა, რომ ის არის მილერის პირამიდის მწვერვალი, პრაქტიკულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება, როდესაც სტუდენტი მუშაობს პალატაში და დამკვირვებელი აკვირდება 5-10 წუთით, თუ როგორ მუშაობს ის პაციენტთან. შემდეგი ეტაპი არის რეზიდენტურა, არსებობს სპეციალური ბლანკები, რითაც დგინდება სტუდენტის კომპეტენცია. მან აღნიშნა, რომ დობსი

თავმჯდომარე

მდივანი

(DOPS)⁶ არის „ნოუპაუ“, რომელიც შემოვიდა 2007 წელს ინგლისის, დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის ექიმების მიერ, მისი უახლოესი კოლაბორატორის, რომელთან ერთადაც აკრედიტაციის საბჭოს წევრს აქვს წიგნები გამოცემული, პროფესორ ტენ კატეს, ფლეის ბესთ ესესთმენთ წიგნში. მისთვის გასაკვირი იყო პირველი კურსის მეორე სემესტრის კურსელი სტუდენტის მიერ პაციენტისთვის პროცედურების ჩატარება, რომელსაც აკვირდება ექიმი ჩარევის გარეშე. დოპსი არის გათვლილი ბოლო კურსებისათვის და ის ბევრ სკოლეში საერთოდ არ არის შემოღებული. გაიანე სიმონიამ ურჩია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს დაესწროს AMS კონგრესებს, იმართება სიმპოზიუმებიც, მისი თქმით, ამერიკელებმა შემოიღეს იპიეი (EPA), რომელიც დასავლეთში ტემნ კატემ დანერგა იპიეი დობსით, რომელიც სვამს კითხვას თუ რატომ უნდა ვენდოთ მექენის კურსელს, რომ მან დამოუკიდებლად ჩატაროს პროცედურები პაციენტთან, ხოლო უსდ - ს წარმომადგენლებმა ის გაითვალისწინეს პირველივე კურსში. როლურ თამაშთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მას იყენებენ პირველ, მეორე კურსზე, როდესაც ერთი სტუდენტი თამაშობს პაციენტის როლს, ხოლო მეორე ექიმის, რითაც ცდილობენ ისეთი კომუნიკაციური უნარების გამომუშავებას, როგორიცაა პაციენტისათვის ცუდი ამბავის შეტყობინება, რომელიც ხდება პრეკლინიკურ ეტაპზე. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, აკრედიტაციის საბჭოზე მან ურჩია უსდ - ს წარმომადგენლებს, რომ 2007 წლის ლიტერატურა არ უნდა იყოს მითითებული გერიატრიაში, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გერიატრიას ყურადღებას არ აქცევდნენ, რაც იყო პარადოქსი რადგან ის საჭიროებს ისეთივე ცალკე მიღებომას, როგორც პედიატრია, კონკრეტული და სპეციფიკური საკითხებით, რადგან სისხლის ანალიზიც კი სხვანაირი აქვთ ხანდაზმულებს და თუ ეს არ იცის კურსდამთავრებულმა პრაქტიკულად შეუძლებელია მან სწორად უმკურნალოს ხანდაზმულს. მისი სურვილია ისეთი კურსდამთავრებული აღმოჩნდეს მათი ექიმი, რომელმაც იცის ეს ყველაფერი თანამედროვე დონეზე. გაიანე სიმონია შეეხო ბეითსის სახელმძღვანელოსაც, რომელიც ასწავლის მაგალითად, პაციენტის ისტორიის შეკრებას და მისი მირითად სახელმძღვანელოდ გამოყენება მექენის კურსზე შეიძლება მხოლოდ გახსენების, გადამეორების მიზნით. ბოლოს მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დიდი მიღწევაა, რომ ინსტიტუცია შეეჭიდა ასეთ საქმეს, დაისახეს მიზნები, თქვა, რომ არავითარ მიკერძოებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია და ასევე, აღნიშნა, რომ არც მათ ინსტიტუციას არ აქვს დანერგილი დოპსი.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს, რომ მათ დაეფიქტირებინათ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ისინი არ განიხილავენ საბჭოს წევრების შენიშვნებს მიკერძოებულად, პირიქით, მათ სწორედ იმიტომ გაუკვირდათ მიღებული გადაწყვეტილება, რომ მათი დამოკიდებულება იყო მეგობრული. მან განაცხადა, რომ ის არ არის მედიცინის სფეროს წარმომადგენელი, არის განათლების სფეროს სპეციალისტი და განმარტა, რა პრინციპებისა და მიღებომებს ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების

⁶ DOPS - Direct Observation of Procedural Skills

თავმჯდომარე

მდივანი

განსაზღვრა. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა არის სტრუქტურირებული პროცესი, ეყრდნობა კუმულირებულ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს და არა სფეროს კომპეტენციებს, რის საფუძველზეც იწერება უფრო წვრილი და ფრაგმენტირებული სასწავლო კურსის შედეგები. რაოდენობრივად დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით განსაზღვრულია 13 კომპეტენცია, მედიცინა არის რეგულირებადი პროფესია, როგორც მასწავლებლის პროფესია, თუმცა დარგობრივი მახასიათებლები არ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, მას განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზნებიდან, უნივერსიტეტის მისიდან გამომდინარე. მისი თქმით, ექსპერტების მხრიდან ამ სტანდარტაზე დაკავშირებით არ დასმულა შეკითხვა. ნინო უვანიამ აღნისნა, რომ არის მკაფიო განსხვავება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებსა და დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ კომპეტენციებს შორის. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ყალიბდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მისი განმარტებით, დარგობრივი მახასიათებლის მარეგულირებელ წესში წერია, რომ ეს მახასიათებელი იქნება იმისათვის, რომ შეიქმნას მაქსიმალურად მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები. მათ გააკეთეს რუკაში მათი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა დარგობრივ კომპეტენციებთან, სადაც არ არის გამოტოვენებლი გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევისა (Providing first aid in emergency medical situations) და მედიკამენტების გამოწერის (Drug prescription) კომპეტენციები, ისინი არის ფრაგმენტირებული კონკრეტულ მოდულში.

გაიანე სიმონია აღნიშნა, რომ ფარმაკოლოგის სილაბუსში მედიკამენტის გამოწერა იქნება გაწერილი, მაგრამ შემაჯამებელ კომპეტენციებში არ არის ეს ასახული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო უვანიამ მოიყვანა ქორქის უნივერსიტეტის (university of cork) სწავლის შედეგების მაგალითი, რომელიც ეყრდნობა QAA-ს მახასიათებებს, რომელსაც არ აქვს კომპეტენციების რიცხობრივი შეზღუდვა. ასევე, მოიყვანა ტარტუს უნივერსიტეტის (university of tartu) მაგალითი, რომელსაც 8 – 9 სწავლის შედეგი აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე უურავლოვამ თავის მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით დაამატა, რომ დარგობრივი მახასიათებელის შექმნის შემდეგ იყო მოლოდინი, რომ ის იქნებოდა გათვალისწინებული ყველა კურიკულუმში, თუმცა თვითონ დარგობრივი მახასიათებლის შექმნის წესში ეს ჩანაწერი არსად არ არის. მისი თქმით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიარეს კონსულტაცია, რომელმაც განუმარტა, რომ, არ იყო აუცილებელი დარგობრივი მახასიათებელში ჩამოწერილი კომპეტენციები კურიკულუმში ასახულიყო ზუსტად იმ თანმიმდევრობით და რაოდენობით, რაზეც გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ თუ ეს ნამდვილად ასეა და დაწესებულება დაამტკიცებს ამას, ისინი ვალდებულები იქნებიან სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიმართონ ცენტრისთვის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, მან სთხოვა ასეთი განცხადებებისგან უნივერსიტეტს თავი შეეკავა, რადგან ცენტრმა დიდი შრომა ჩადო დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში.

თავმჯდომარე

მდივანი

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა მადლობა გადაუხადა გაიანე სიმონიას მისი დამოკიდებულებისათვის, მისი აზრი მისთვის მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, ხოლო დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობისას დიდ ეკრანზე ჰქონდა სამუშაო ჯგუფს გაშლილი დარგობრივი მახასიათებლები და ამ კუთხით სამუშაო ჯგუფმა დიდი შრომა გასწია, რომ პროგრამა მოერგით აღნიშნულ დოკუმენტს.

გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ არის კომპეტენცია, სასწავლო შედეგი 1, რომელიც იშლება სასწავლო შედეგი 2 -ად. მას ჰქონდა შენიშვნა კომპეტენციის ნაწილში, ხოლო სწავლის შედეგების გაწერის ნაწილზე უსდ - ს აქვს სრული თავისუფლება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების ვანონში უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გაწერილი, თუ როგორ ინერგება დარგობრივი მახასიათებელი. ნინო ჟვანიამ დაამატა, რომ დღევანდელი რეგულაციის მიხედვით დარგობრივი მახასიათებლის დანერგვისა და შემუშავების წესში წერია, რომ დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა აყალიბებდეს სწავლის შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამაში. ასევე, წერია, რომ დარგობრივი მახასიათებელის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საერთაშორისო უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშავებას, სწავლა, სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებს.

გაიანე სიმონიამ აღნიშანა, რომ ის თავს შეიკავებდა ნებისმიერი მოსაზრების დაფიქსირებისგან თუ განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩათვლის, რომ დარგობრივ მახასიათებელში მოცემული კომპეტენციები ყველა სკოლამ არ უნდა გაითვალისწინოს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა აღნიშნა, რომ ისინი შეეცადნენ მაქსიმალურად გაეთვალისწინებინათ ყველა კომპეტენცია, გადაუდებელი დახმარება და მედიკამენტების გამოწერა კი გაითვალისწინეს პაციენტის მენეჯმენტში. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ კი უპასუხა, რომ როდესაც საგანმანათლებლო პროგრამას ეყოლება კურსდამთავრებულები უფრო მკვეთრად გამოჩნდება, თუ როგორი ნაგულისხმევია გადაუდებელი დახმარება და მედიკამენტების გამოწერა, რაზეც ივანე აბიათარმა უპასუხა, რომ სწავლის შედეგების გაზომვის რუკაშიც არის ამის შესახებ აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იაგორ კალანდაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედებს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს იერარქიას და საჯარო თუ კერძო სამართლის პირს ავალდებულებს იცხოვრობს შესაბამისი მარეგულირებელი აქტის მიხედვით. მისი თქმით, ამ შემთხვევაში არის სრული ფორმალური შესაბამისობა მარეგულირებელ კანონთან, მკაფიოდ არ არის გამოყოფილი გადაუდებელი დახმარება და მედიკამენტების გამოწერა, თუმცა რეალურად კურიკულუმის შესაბამის ეპიზოდებში ისინი მოცემულია.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ ის იზიარებს იერარქიულ დონეებს და ცდილობს გაარკვიოს სად არის აცდენა დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაზეც თავმჯდომარე

მდივანი


გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ აცდენაზე არ იყო საუბარი, საუბარი იყო იმაზე, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ქართული ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები და არა კანადის, ამ შემთხვევაში გამოტოვებული იყო 2 კომპეტენცია. მისი თქმით, სწორედ კანადელმა ექსპერტმა ურჩია მათ გამოეყენებინათ ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა განაგრძო საუბარი პი ბი ელ (PBL) თან დაკავშირებით, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ისინი არ გულისხმობდნენ იმას, რომ პი ბი ელი (PBL) ანვითარებს კლინიკურ უნარებს. გაიანე სიმონიამ შეაწყვეტინა საუბარი და აღნიშნა, რომ პი ბი ელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იქმნება 7 ან 8 კაციანი სტუდენტების ჯგუფი, რომელთაგან ერთი არის ლიდერი, ის წარმოადგენს პრობლემას და შემდეგ დანარჩენი სტუდენტები მას განიხილავენ, ხოლო ტუტორი აკვირდება მათ და იმ შემთხვევაში თუ რაიმე უხეშ შეცდომას ექნება ადგილი, მაგალითად, ანგინაზე ამბობენ ფეხი მოტყდაო, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაერევა პროცესში. გაიანე სიმონიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ის მაქსიმალურად ობიექტურად შეეცადა შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა, ესაუბრა ექსპერტებსაც და დარჩა იგივე მოსაზრებაზე, რაც შეეხება სტანდარტის შესაბამისობას გადაწყვეტილება მიღებული იყო მთლიანად აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა განაგრძო საუბარი დოპსის მეთოდის შესახებ, წარმოადგინა სტატია, სადაც კატალონიის ერთ - ერთმა უნივერსიტეტმა მოახდინა კლინიკური უნარების შეფასებისათვის დოპსის იმპლემენტაცია მეორე კურსზე, მათი მიზანი იყო ადრეულ ეტაპზე კლინიკური უნარების გამომუშავება და გამოიყენეს პირდაპირი დაკვირვების, დოპსის მეთოდი. მისი თქმით, არსებობს რამდენიმე სტატია, სადაც საუბარია, რომ პრეკლინიკურ ანუ სიმულაციურ გარემოშიც იყნებენ დოპსის მოდიფიცირებულ მეთოდს, რაზეც გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ ეს სტატია არის კვლევა, არ არის გაიდლაინი, გაიდლაინი არის 2017 წელს გამოსული სახელმძღვანელო, რომლის ავტორიც არის ოლე ტენ კატე, სადაც დოპსი არის დეტალურად განხილული.

საბჭოს თავჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა კითხვით მიმართა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წერმომადგენლებს ეწინააღმდეგებოდა თუ არა სტანდარტს ის რაც გაწერს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა დოპსის მეთოდთან დაკავშირებით, რაზეც მან უპასუხა, რომ იპიეი (EPA)⁷, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ენდო სტუდენტს, რომ მან პროფესიული საქმიანობა განახორციელოს, სწორეს ამ მიდგომის ქუდის ქვეშ არის დოპსი, მინი კლინიკური სავარჯიშო და პაციენტის ისტორიის განხილვა. იპიეი იწყება მე-5 ან მე-6 კურსზე და გადადის რეზიდენტურაში, ის ადრე იყო პოსტდიპლომურ სტადიაზე. დარგობრივ მახასიათებელში ეს გაწერილი არ არის, თუმცა არსებობს გაიდლაინები.

⁷ EPA-Entrustable Professional Activity
თავმჯდომარე



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დაამატა, რომ მედიცინის სწავლების დროს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, პაციენტების ინფორმირებული თანხმობის ფონზე ისინი იყენებენ ამ მეთოდს. მისი თქმით, ამ მეთოდის დაბალ კურსებზე ჩამოტანით შესაძლოა ზიანი მიადგეს პაციენტებს ან უნდა იყოს კონკრეტულად აღწერილი დობსის მოდიფიცირებული ვერსია. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა განმარტა, რომ სტუდენტი დაბალ კურსებზე პაციენტთან არ მიდის, ხდება პირდაპირი დაკვირვება.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გიორგი სალუქვაძემ ჰკითხა გაიანე სიმონიას, თუ როგორ ხსნიდა ის რეზიდენტურიდან პირველ, მეორე კურსამდე დოპსის დაწევას, რაზეც მან უპასუხა, რომ საქართველოს არ აქვს ისეთი კლინიკური ბაზები, რომ სტუდენტს ანდოს დამოუკიდებლად განახორციელოს მსგავსი პროცედურები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დოპსის მოდიფიცირებულ ვერსიაში იგულისხმეს სიმულაციურ გარემოში, მულაჟებზე პირდაპირი დაკვირვება, რაზეც გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ ამ მეთოდს ჰქვია ოსკის (OSCE)⁸⁸ გამოცდის წინ სტუდენტების სიმულაციურ ცენტრში მუშაობა. ამ შემთხვევაში სჯობს სახელწოდების შეცვლა, რაზეც ივანე აბიათარმა უპასუხა, რომ მეთოდი არის რელევანტური, ხოლო სახელწოდებას შეცვლიან. რაც შეეხება ლიტერატურას, ბეითსის გამოყენებას მაღალ კურსებზე, ამის მიზეზი არის განმეორება და შესაძლებელია მისი მირითადიდან დამატებითში გადატანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ჟურავლოვამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია მეორე სტანდარტის დაწევის მიზეზი. მან აღნიშნა, რომ დიდი შრომა გასწიეს ელექტრონულ პორტფოლიოზე. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, უცხოელი ექსპერტის მიერ რეკომენდირებული იყო უფრო ნათლად მომხდარიყო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტირება, როდესაც სახელწიფო ბიუჯეტირების წესის ფარგლებში ყველაზე მკაფიო ბიუჯეტი დადეს.

საბჭოს თავჯდომარემ, წოდარ პაპუკაშვილმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, გიგა ზედანიას, თუ რა რესურსი ჩაიდო ამ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, რაზეც გიგა ზედანიამ უპასუხა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, მათ აქვთ ბიუჯეტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარეობს, რომელსაც ანაწილებენ სტრატეგიულ მიმართულებებში. მაგალითად, კვლევები და კვლევითი უნივერსიტეტები, რომელსაც უხდიან თანხას, რომ მათ კიდევ დამატებითი თანხა მოიპოვონ, გარკვეული თანხის ნაწილი კი ჩაიდო ამ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. (სპეციალური ტექნიკის შეძენა და სხვა ტიპის ხარჯები.) რაც შეეხება შემოსავლებს, საგანმანათლებლო პროგრამა არის ინგლისურენოვანი და სწავლის გადასახადი

⁸⁸ OSCE - An objective structured clinical examination
თავმჯდომარე

უცხოელი სტუდენტებისათვის საგრმნობლად მაღალია ვიდრე 2250 ლარის ზღვარი, რომელიც დაწესებულია ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

სააპელაციო საბჭოს წევრმა ზურაბ გასიტაშვილმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, - რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობის კომუნიკაციას უნდა ასახავდეს საგანმანათლებლო პროგრამა - დაინტერესდა, როგორ იყო ევროპულ ქვეყნებში მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი.

გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ მსგავსი რეგულაცია არ შეხვედრია არცერთ კანონში, შესაბამისად, არც საბჭოზე დაუფიქსირებია რაიმე მოსაზრება.

სააპელაციო საბჭოს წევრმა ასევე, აღნიშნა, რომ 2018 წლის საქართველოს კანონით უკავშირდები საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული, ახლანდელმა ექსპერტებმაც გაწერეს გარკვეული რეკომენდაციები. ის დაინტერესდა საბჭოზე თუ ესწრებოდნენ გარე შეფასების ექსპერტები, ვინ იყვნენ ისინი და თუ ეთანხმებოდნენ აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, იღებდნენ თუ არა დისკუსიაშუ მონაწილეობას, რაზეც მას უპასუხეს, რომ ესწრებოდა ერთი ექსპერტი მაკა ზარნაძე, ასევე, მოხდა სტუდენტი - ექსპერტის ჩართვა.

სააპელაციო საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა თუ იზიარებდა საგანმანათლებო დაწესებულება ექსპერტების რეკომენდაციებს და რჩევებს, რომელიც გარდა სწავლის შედეგებისა ეხებოდა აკადემიურ პერსონალს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე, თქვა, რომ მისი მიზანი გასაკვირია ივანე აბიათარის პოზიცია, რომელიც თავად იყო დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებაში ჩართული, რა საჭიროა პოლანდიისა და ისრაელის მაგალითების მოყვანა, როდესაც ეს დარგობრივი მახასიათებლები მხოლოდ საქართველოსთვის არის განკუთვნილი და სავალდებულო შესასრულებელია საქართველოსთვის. მან აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემს იღებს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის წარმომადგენელია და იცის, რომ ძლიერი სკოლა აქვთ თუნდაც საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ისინი გარკვეულ რეკომენდაციებს ეთანხმებიან. მაგალითად, პერსონალთან დაკავშირებული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. ხოლო მეოთხე სტანდარტს სრულიად არ ეთანხმებიან, რაზეც წერილობითაც უპასუხეს ექსპერტებს. დარგობრივ საბჭოში მონაწილეობასთან დაკავშირებით კი თქვა, რომ გამომდინარე აქედან არ შეიძლება იმის თქმა, რომ მათ არ იცოდნენ დარგობრივი მახასიათებლების შესახებ, უბრალოდ მათი მიდგომით, დარგობრივი მახასიათებლების ბაზაზე შეიმუშავეს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც სრულად ფარავს დარგობრივ მახასიათებლებს.

კარედიტაციის საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ კი უპასუხა, რომ ფაქტიურად მათ ცალკე შექმნეს სამუშაო ჯგუფი, იმის განსასაზრდვრად თუ რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს, შექმნეს ახალი 10 კომპეტენციანი სწავლის შედეგების ნუსხა (აუთენტიკის),

თავმჯდომარე

მდივანი

როგორიც არის მედინში და ჩაანაცვლეს საქართველოს დარგობრივი მახასიათებლების 13 კომპეტენცია. (Competences/ learning outcomes for undergraduate medical education in Europe)

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, ელენა ჟურავლოვა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ენის კომპეტენციის გასაუმჯობესებლად გარდა ქართული ენის კურსებისა ზაფხულში იგეგმება ქრაშ სქულები, სამერ სქულები და ა. შ. ანუ ნაწილობრივ გაითვალისწინეს, ნაწილს კი გაითვალისწინებენ კლინიკური სწავლების შემდეგ, როდესაც იქნება მენტორშიპი. რაც შეეხება ბიუჯეტს, სახელმწიფო ბიუჯეტირების წესი ერთია და სხვაგვარ ბიუჯეტს ვერც გაწერდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა მიმართა დამსწრე საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კიდევ რაიმე შეკითხვა, ან დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ არაფრის დამატება სურდათ.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 18:41 სთ.

დამთავრების დრო 18:58 სთ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება

„განათლების ხარსიხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუცლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

საბჭოს მდივანი

დევი ხვედელიანი